პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ. წყალტუბო ---- თებერვალი, 2026 წელი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.122.016373; 01/11/2016) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი *№1* -ის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" ქვეპუნქტი.

„დ) ამხანაგობის მიერ შერჩეული, მომსახურე ორგანიზაციის/მეწარმე სუბიექტის მიერ მომზადებული შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დედანი და ელექტრონული ვერსია, რომელიც შედგენილი უნდა იყოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში არქიტექტურული პროექტი.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი *№1* -ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია;

ბ) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა;

გ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა რეაბილიტაცია;

დ) მრავალბინიანი საძირკვლების გამაგრება და სარდაფების მოწესრიგება;

ე) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია;

ვ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა;

ზ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია."

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი *№1* -ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, აღრიცხავს, განიხილავს ამხანაგობის მიერ შემოტანილ განცხადებას შესაბამის ხარჯთაღრიცხვასთან ერთად და ამოწმებს მის შესაბამისობას ამ წესით დადგენილ პირობებთან. სამსახური ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ."

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 -ის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ 1. ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ით და დანართი №3-ით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობისაგან განსხვავებული დაფინანსების, მერიის მიერ მეტი წილის ან სრულად დაფინანსების შემთხვევაში განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამისი კომისია, თუ შეფასების შედეგად დადგინდება, რომ საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რომელიმე კომპონენტი არის ავარიული და საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას."

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №2

პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა				
№	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	90/10	90	10
2	მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა			
3	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა რეაბილიტაცია			
4	მრავალბინიანი საძირკვლების გამაგრება და სარდაფების მოწესრიგება			
5	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	60/40	60	40
6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა			
7	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია			

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №3

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობისათვის თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა				
№	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	90/10	90	10
2	მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა			
3	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა რეაბილიტაცია			
4	მრავალბინიანი საძირკვლების გამაგრება და სარდაფების მოწესრიგება			
5	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	60/40	60	40
6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა			
7	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია			

მუხლი 2 .

ამ ცვლილების ამოქმედებამდე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში დარეგისტრირებულ განცხადებებსა და შესაბამის დოკუმენტაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას გავრცელდეს განცხადების შემოტანის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა: ნ. ზვიადაძე

შეთანხმებულია: მ. მამისეიშვილი

მ. ჩხეიძე

გ. ყურაშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826054126**
თარიღი: **23/02/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანა განპირობებულია ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსების პროცენტული წილის ცვლილებით. კერძოდ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია - იყო მერიის წილი - 85% და ამხანაგობის- 15%. აღნიშნული ცვლილებით თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა განისაზღვრება მერიის წილი - 60%, ხოლო ამხანაგობის წილი - 40%.

რაც შეეხება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაციას, პანდუსების მოწყობა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა რეაბილიტაციას იყო მერიის წილი - 85% და ამხანაგობის- 15%. აღნიშნული ცვლილებით თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა განისაზღვრება მერიის წილი - 90%, ხოლო ამხანაგობის წილი - 10% ოდენობით.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი ,,7“ ფურცლად.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:03-4826050129
თარიღი: 19/02/2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის N30 დადგენილებაში შევიდეს გარკვეული ცვლილებები, კერძოდ:

შეიცვალოს თანდაფინანსების პროცენტული წილი და განისაზღვროს შემდეგნაირად:

- სადარბაზოების რეაბილიტაცია- მერიის წილი 60%, ამხანაგობის წილი 40 %.
- ფასადის რეაბილიტაცია, მერიის წილი 60%, ამხანაგობის წილი 40 %.
- ეზოების კეთილმოწყობა, მერიის წილი 60%, ამხანაგობის წილი 40 %.
- საძირკვლების გამაგრება და სარდაფების მოწესრიგება მერიის წილი 90%, ამხანაგობის წილი 10 %.
- ბინის შიდა წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა, მერიის წილი 90%, ამხანაგობის წილი 10 %.
- ლიფტების რეაბილიტაცია-შეცვლა, მერიის წილი 90%, ამხანაგობის წილი 10 %.
- სახურავების რეაბილიტაცია, მერიის წილი 90%, ამხანაგობის წილი 10 %.

ამასთანავე, დადგენილების მე-6 მუხლის I პუნქტში, შევიდეს ცვლილება და მიეთითოს, რომ განცხადების თან უნდა ახლდეს შესაბამის ხარჯთაღრიცხვა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია იტოვებს უფლებას, ამხანაგობის მომართვის საფუძველზე განსაზღვროს თანადაფინანსების პროცენტი ან სრულად გააუქმოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ შეფასების შედეგად დადგინდება, რომ საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რომელიმე კომპონენტი არის ავარიული და საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

აღნიშნული ცვლილებები, არ უნდა გავრცელდეს იმ ამხანაგობებზე, რომელთა მიერ შესაბამისი დოკუმენტაცია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში

წარმოდგენილი იყო, ზემოთაღნიშნულ დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

გთხოვთ, შესაბამის დადგენილებაში, აღნიშნული ცვლილების შეტანა, დაავალოთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციულ სამსახურის იურიდიულ განყოფილებას.

პატივისცემით,

მალხაზ ჩხეიძე

ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური-სამსახურის უფროსი